

ატენის ხეობის ეთნობოტანიკური კვლევა

მარიამ კარპენკო

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის
ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა- ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული

პროფესორი: მარინე მოსულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მ.კარპენკო _21.06.2019_ თარიღი

სარჩევი

აბსტრაქტი	4
შესავალი	5
კვლევის თემა, მიზნები და აქტუალობა	9
საკვლევი ტერიტორია და მეთოდოლოგია	11
შედეგები და განხილვა	15
დასკვნები და რეკომენდაციები	18
გამოყენებული ლიტერატურა	19
დანართები	23

აბსტრაქტი

კვლევა ჩატარდა ატენის ხეობაში, მოსახლეობის ზეპირსიტყვიერი გამოკითხვის მეშვეობით. ძირითადად მონაწილეობდნენ უფროსი ასაკის მოსახლეობა, თუმცა გამოკითხვაში ახალგაზრდებიც იყვნენ ჩართული. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობას ეთნობოტანიკური ცოდნა გადაეცემა ზეპირსიტყვიერად, ოჯახის უხუცესი წევრებიდან, ძირითადად ბებიებისგან, რომ მოსახლეობა ცოდნას ფლობს სამკურნალო, საკვები, გასათბობი-სამშენბლო და სათიბ-საძოვრების მცენარეებზე და აქტიურად იყენებს მათ. გამოყენების მხრივ ყველაზე დიდი მაჩვენებელი სამედიცინო დანიშნულების მცენარეებზე მოდის. თითქმის ყველა სახლის მახლობლად იზრდება მრავალძარღვა (*Plantago major*), ჭინჭარი (*Urtica dioica*), გვირილა (*Matricaria chamomilla*). მცენარეთა ოჯახებიდან დომინირებს ვარდისებრნი (Rosaceae), პარკოსნები (Fabaceae), ტუჩოსნები (Lamiaceae), შროშანასებრნი (Liliaceae). ცხრილის სახით მოცემულია გამოკითხვის შედეგად მიღებული მცენარების ნუსხა და კატეგორიები. გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს.